ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6456206

ნომერი: AR1964220

თარიღი : 02.05.2023

გაცემის თარიღი : 11.05.2023

გაცნობის თარიღი : 11.05.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გრიგოლ ლორთქიფანიძე , N 3ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაქარია სოზაშვილი პ/ნ 20001000949
- თელავის რაიონი, ს. ვარდისუბანი

ორგანიზაცია:

- შპს ჰაუზაკადემია კოდი: 405312594

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2023 წლის 02 მაისის №AR1964220 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 02 მაისს №AR1964220 განცხადებით მომართა ზაქარია სოზაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 11 აპრილის №6411479 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 11 აპრილის №6411479 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა №3ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.19.34.002.138), მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2023 წლის 20 აპრილის №6422765 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 20 აპრილიდან 2024 წლის 20 აპრილის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად. განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2023 წლის 11 აპრილის №6411479 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საოფისე ფართობი 5624.97 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 5661.16 კვ.მ., საზაფხულო ფართობი 3204.45 კვ.მ-ის ნაცვლად 3231.49 კვ.მ., დამხმარე ფართობი 219.87 კვ.მ-ის ნაცვლად 198.01 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობი 4265.99 კვ.მ-ის ნაცვლად 4330.84 კვ.მ., საერთო ფართობი 24343.39 კვ.მ-ის ნაცვლად 24449.61 კვ.მ. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 11 აპრილის №6411479 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე დატანილი საზაფხულო და დამხმარე ფართობების ჯამური მაჩვენებლები და მოთხოვნის ტექსტში დაფიქსირებული ამავე ფუნქციის ფართობის მაჩვენებლები ერთმანეთთან შეუსაბამოა. გარდა ამისა, საოფისე და ავტოსადგომის ფართობებში შეყვანილია კოლონების, სავენტილაციო შახტების და შემომსაზღვრელი კედლების ფართობები. აღნიშნული ფართები დატანილ უნდა იქნას შიდა კონტურზე, სავენტილაციო შახტებისა, კოლონების და ბინის შემომზღუდავი კედლების გარეშე.

სამყოფისათვის ფართობი განისაზღვრება მის შემომსაზღვრელ კედლებს შორის არსებული იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობით, მათ შორის არსებული საყრდენი კედლებისა და კოლონების ფართობის გარეშე (ბინის ფართობში არ იანგარიშება ასევე საყრდენ კედლებში და ბინის შემომსაზღვრელ კედლებში არსებული ღიობები, ბინაში არსებული იატაკის სხვადასხვა დონეების დამაკავშირებელი შიდა კიბე და მისი ბაქანი).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დაავალოს განმცხადებელს წარმოადგინოს განახლებული დოკუმენტაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ვბრძანებ:

1. დაევალოს განმცხადებელს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში:

1.1. დააზუსტოს მოთხოვნა საოფისე, საზაფხულო, დამხმარე, ავტოსადგომის და საერთო ფართობებთან დაკავშირებით.

1.2. წარმოადგინოს სამსახურის 2023 წლის 11 აპრილის №6411479 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური გეგმები (გეგმარების შეცვლის გარეშე) მხოლოდ შესწორებული ფართობების დატანით (საჭიროა წარმოდგენილ იქნას მხოლოდ იმ ნიშნულის გეგმები, რომლებზეც ხდება ფართობების გასწორება).

2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2023 წლის 02 მაისის №AR1964220 განცხადება დარჩეს განუხილველი.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge